წმალიწადი მგზუთგ.

საქართველო უწინარეს ყოვლისა

თეთრი გიორგი

ქართველ პატრიოტთა ორგანო

Journal de l'Organisation des Patriotes Géorgiens «THETHRI GUIORGUI»

Rédaction : THETHRI GUIORGUI, 11, Porte Champerret, Paris XVII

რედაქტორი მ. წერეთელი.

პარიზი
დეკემბერი 1930 წელი
N° 35

Paris
Décembre 1930
No 35

ეროვნული ბიბლიოთეკა

✝

პარიზში შვიდ დეკემბერს ტრაღიკულად დაიღუპა საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი მინისტრი ნოე რამიშვილი. „თ. გ“.-ის რედაქცია ღრმა სამძიმარს უცხადებს გარდაცვალებულის მგლოვიარე სახლობას.

ქაქუცას ხსოვნას.

ნახევარმა წელიწადმა განვლო უკვე, რაც განუკრთობელი და საუკუნო ძილით სძინავს ქაქუცა ჩოლაყაშვილს.

დაგვტოვა უნუგეშოდ მისთვის მგლოვიარენი და მისი დაკარგვის სიმძიმის მცოდნენი და შავს მიწას ამოეფარა.

და გვმართებს გლოვაცა და ტირილიც, რათგან გმირი დავკარგეთ, ჯერ კიდევ ახალ-გაზრდა, რომელსაც ძალა და ნიჭი ბრძოლისა არ მიეტანა სავსებით უბედური საქართველოს საკურთხეველზედ მსხვერპლად; რათგან ვიცით, რომ ქაქუცას მსგავსნი ძვირად იბადებიან და ევლინებიან სამშობლოს.

აგერ, რაღაც ელვა კრთის ბოლშევიკების ჯოჯოხეთის შავღრუბლიან ცაზედ. არ განივლის დიდი დრო და ძლიერად იელვებს, მრისხახედ დაიჭექებს და ეს სიბნელე-გადაკრული ცაც ჯოჯოხეთისა განიპობა, ელვა-ჭექას სისხლის წარღვნა მოჰყვება, ქვეყანას აღრევის ზღვა დაჰფარავს, და მაშინ უნდა მას გმირი მებრძოლი, პატრონი და მსხნელი საშინელის განსაცდელისაგან.

საქართველოს გამოუჩნდებიან მებრძოლნიცა და პატრონნიც, მაგრამ იქმნება მათ შორის ისეთი, როგორიც იყო ქაქუცა? ინებოს ღმერთმა და საქართველოს ბედმა, რომ უკეთესნიც გამოჩენილიყვნენ! ქაქუცასაც იგინი უფრო დააფასებენ ღირსეულად, მისნი მემკვიდრენი და დამასრულებელნი მისი დიდი საქმისა.

მანამდე კი იყოს ჩვენ შორის მარადის ხსოვნა ჩვენი ქაქუცასი, ჩვენს გულში ღრმა სიყვარული მისი. განვიქარვოთ ტკივილი გლოვისა მით, რომ ქაქუცამ ყველა ქართველ მებრძოლთა შორის ახალი დროისა უბრწყინვალესად აღასრულა მოვალეობა თვისი ქვეყნის წინაშე და ისე დასტოვა ეს სოფელი. ამით ბედნიერია იგიც. ხოლო ტკივილს ვერ აღმოვიფხვრით გულითგან, რათგანაც ვიცით, რომ ქაქუცას ხმალი მოახლოებულ ჟამს ქართველი ერის ბრძოლისა ვეღარ გაიელვებს. ამით ვართ უბედურნი უდროოდ დაკარგული ქაქუცა და ჩვენც, მისნი მეგობარნი და დამფასებელნი.

ქაქუცას ორი სამარე აქვს: ერთი ცივი, უცხო მიწაში, მეორე თბილი, ჩვენს გულში, სამარე სამარადისო ხსოვნისა და სიყვარულისა, მაგრამ მოვა დრო და სამშობლო მიწას მივაბარებთ მას, სამარედ ხსოვნისა და სიყვარულისა კი მისთვის მთელი ქართველი ერის გული გახდება. მაშინ აღსდგება იგი მიწის სამარითგან და ქვის სახით თავისუფლების ფოლოცზედ აღიმართება იგი საქართველოს წინაშე, კეთილშობილი, ძლიერი და შვენიერი, როგორც საუკუნო მაგალითი შეუდრეკელის სიმხნით, სიმამაცით და სიყვარულით სამშობლოსათვის თავის დადებისა.

სანამ დადგებოდეს ეს სანატრელი ჟამი, განისვენე აქ, ძვირფასო ქაქუცა, უცხო მიწის სამარეში და ჩვენს ტანჯულ, მაგრამ შენდამი სიყვარულით აღსავსე გულში.

მ. წერეთელი.

თეთრი გიორგის მეორე ყრილობა

რაოდენი სულიერი გამძლეობა იყო საჭირო ემიგრანტულ პირობებში, რომ ქართველმა ახალგაზრდობამ შესძლო საუკეთესო ძალები ერთად შემოეკრიბა მხედრულ ორგანიზაციის, „თეთრი გიორგის“ გარშემო და ხუთი წლის განმავლობაში მტკიცე პატრიოტული ზნეობის მატარებელი გამხდარიყო იგი.

თ. გ.-ის მხოლოდ სამშობლოს კულტი აქვს და წინამძღოლებად ჰყავან მამულიშვილნი, რომელნიც ცნობილნი არიან ქართული ცხოვრების თვალსაჩინო მომენტებში. თეთრი გიორგის ახალგაზრდობამ მათ მიანდო ხელმძღვანელობა, რომელთ საქართველოს განმათავისუფლებელ პოლიტიკაში აღასრულეს მამულიშვილური მოვალეობა და საქართველოს ასი წლის მონობას მოუღეს ბოლო. ჩვენ, ახალგაზრდები ვენდობით ჩვენს უფროსებს, რომელთ არც გამოცდილება აკლიათ და არც სიმტკიცე, რომ უბედობის მიერ დამარცხებულ საქართველოს და გულგატეხილ ქართველთაც კვლავ პატრიოტული აღფრთოვანების სული შთაბერონ. და თუ ომის წინ „საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტს“ არ ეყო იმდენი ძალა, რომ თავისუფალ ქვეყანას ის მოვლენოდა პატრონად და მმართველად, დღეს ჩარხი საქართველოს აღდგენისათვის სხვაფრივ ბრუნდება და მისი მფარველიც უფრო დარაზმული და მოშზადებული ძალით გამოვა, რომ ქვეყნის ბედიც უკეთ განაგოს და მისი მტერი რუსებიც სამუდამოდ განდევნოს, რომ საქართველოს მიწა-წყალი განიწმინდოს ამ სიბინძურისაგან.

ამ საკითხებზედ მსჯელობისათვის თეთრ - გიორგელობა მეორედ იკრიბება ამ თვის 21-ს პარიზში.

პირველი ყრილობის იმედები სავსებით გამართლდა: ორგანიზაცია გაიზარდა, გამაგრდა და მეტი სულიერი სიმტკიცე შეიძინა. მეორე ყრილობა კი უფრო დიდი მნიშვნელობისა იქმნება, ვინაითგან პირველი ყრილობის შემდეგ თეთრი გიორგის რიგებში ჩაებენ ცნობილნი პოლიტიკურნი მოღვაწენი და მხედარნი, რამაც ერთი ათად გაზარდა ძალა პატრიოტულად შეგნებული და იდეით განმსჭვალული. მეორე ყრილობაზედ ყველა კუთხის თეთრ-გიორგელნი ურთი-ერთს გაეცნობიან და ამით უფრო განმტკიცდება მათი ძმური კავშირი.

თეთრი გიორგი, როგორც ჭეშმარიტი ეროვნული იდეოლოგია, უკვე ჩამოყალიბდა და მეორე ყრილობაზედ კიდევ უფრო ნათელ-ყოფილი იქმნება იგი და განმტკიცებული. აქვე იქმნებიან შემუშავებულნი საშუალებანი ჩვენის შემდეგის მოქმედებისა და ბრძოლისა. ამ ყრილობის შემდეგ კიდევ უფრო გაიზრდება და გამაგრდება ოეთრი გიორგი, მის რიგებში ჩადგება მეტი რიცხვი პატრიოტ ახალ-გაზრდათა.

აი რა იმედებით მოველით ჩვენ, ახალგაზრდანი, თეთრი გიორგის მეორე ყრილობას და ღრმადა გვწამს, რომ არ მოვსტყუვდებით.

ამიტომ შევხარით მას.

ბეჟან გიორგაძე.

***

სარკმელიდან მოძმასალმა შორე-მხარის ქვენა,
თავის ფრთებზედ მოძმიტანა სალამურის სტვენა.

გავყუჩდი და გავინაბე, მგნაურა ჰანგი
და... და... მყისვე გამახსენდა ძიძის ჩემის ჩანგი.

მაგ კილოზედ მიშღერდა ძიძა ძალის პირებს,
მაგ ჰანგებით მაყვარებდა ჩემი ქვეყნის გმირებს.

ჩანგის ნაცვლად ვინ ატირებს ნეტავ სალამურსა?
შორის მხრიდან ვინ მიგზავნის ჰანგებს საამურსა?

ძიძის-შვილი თუ ასრულებს ანდერძს თავის დედის?
სალამურით თუ სურს გლოვა საქართველოს ბედის.

ვგიხზე. მაგრამ უპასუხოდ გამეპარა ქვენა,
და თვის ფრთებზედ თან წაიღო სალამურის სტვენა.

მ. დ-ნი.

Rusthveliana
და
ვეფხის ტყაოსნის პრობლემა

III

პ. ინგოროყვას წიგნის მეექვსე თავი (145-326 გვ.) შეიცავს შოთას ბიოგრაფიის აღდგენის ცდას. მაგრამ რათგან ჯერ მისი ვინაობის საკითხი გამორკვეული არ არის, ბიოგრაფიაზედ ლაპარაკი ზედმეტია. ხოლო ჭვრეთის ერისთავის შოთას კიოგრაფია ვეფხ. ტყ. ავტორისთვის არ გამოგვადგება. ამიტომ ამას უყურადღებოდ ვტოვებთ და განვიხილავთ ერთ გარემოებას, რომელიც ეხება პირდაპირ ვ. ტყ. ავტორს.

პ. ი. აზრით ვეფხ. ტყ. დაიწერა უცხოეთში, მაშინ როცა შოთა საქართველოთგან განდევნილი იყო. მიზეზად იგი ასახელებს სხვა ნაწარმოების დაწერას, რაც უნდა მომხდარიყო ჯერ კიდევ ადრე, საქართველოში ყოფნის დროს. ეს ნაწარმოები კი უნდა იყოს «ქებანი», რომელიც მოხსენებულია ვეფხ. ტყ. შესავალში. გავიხსენოთ ჯერ ეს მიზეზი, თუ რამდენად მართალია ეს აღმოჩენა, და მერე ვნახოთ ის საბუთები, რომლის მიხედვითაც მკვლევარი განდევნის შოთას უცხოეთში.

ვ. ტყ. შესავალში ვკითხულობთ:

«თამარს ვაქებდე მეფესა, სისხლისა ცრემლ დათხეული,
ვთქვენი ქებანი ვისნი მე არ ავად გამორჩეული,
მელნად ვიხმარე ციმრის ტბა და კალმად მინა რხეული,
ვინცა ისმინოს, დაეხოს ლახვარი გულსა ხვეული».

ამ სტროფის მეორე სტრიქონი მკვლევარს ისე გაუგია, თითქოს აქამდე, ე. ი. ვ. ტყ. დაწერამდე, შოთას კიდევ დ-უწერია რაღაც, რომელსაც ხოდებია «ქებანი» და რომელიც აგრეთვე არ ყოფილა «ავად გამორჩეული».

ეს ადგილი თავის დროზედ სრულიად დაუსაბუთებლად ნ. მარრმაც ასე ახსნა (იხ. მისი «შეს. სტრ.» რუს.)

მაგრამ აქ ნამდვილად ელემენტარულ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. აქ სხვა ნაწარმოები კი არ იგულისხმება, არამედ თვით ვეფხ. ტყ.-ნი. უკანასკნელი სტრიქონიც ამას მოწმობს «ვინცა ისმინოს»-ო (მყოფადს უთითებს). კიდევ: «ქვემორე მითქვამს მიქია»-ო და სხ.. რათგან ცნობილია, რომ შესავალი ყოველთვის უჩვენებს ტექსტს და ყოველთვის იწერება ტექსტის შემდეგ, ამიტომ არის, რომ პოეტი მას შესავალში დაწერილად იხსენიებს. სხვა არაფერი. რაც შეეხება იმას რომ შოთას მართლა შეიძლება ჰქონოდა კიდევ სხვა რაიმე ნაწარმოები, ამაზედ არ ვდავობთ, მაგრამ გვიჩვენოს ვინმე!?

ამგვარად, რაკი შოთას განდევნის მიზეზი მოხსნილია, განდევნაზედ შეიძლებოდა აღარაფერი გვითქვა, მაგრამ თუ რას ემყარება ამისთვის მკვლევარი, ეს მეთოდოლოგიურად იმდენად საინტერესოა, რომ ორი წუთით აქაც ღირდა შეჩერდეთ.

ამას ხედავს ის უმთავრესად ორ სტროფში:

«ამ საქმესა მემოწმების მე დივანი ბრძენი ეზრუს,
საბრალოა, ოდეს ვარდი დაეთრთვილოს, დაეაზრუს,
ვის ბალახში არა ჰგვანდეს, და ლილ ამი ტანად ეზრუს,
იგი საცმე გაღარიბდეს, სამყოფთაგან იაგზრუს».

ამ უკანასკნელი სტრიქონის აზრს მკვლევარი მიაწერს შოთას, რომ შოთა აქ ამყღავნებს თავის განდევნილებასო.

უფრო საინტერესო და მკვლევარის დასაყრდენი მეორე აღგილია:

«ვაი სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნეგ, რა ხნე გჭირსა!
ყოველიმე შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ სტირსა.
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი საით ძირსა,
მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსა».

პ. ი. ამაზედ ამბობს: «პოეტი აქ, როგორც ვხედავთ, თითონ ლაპარაკობს პირველი პირით თავის თავზე» (გვ. 301), და მას ჰგონია, თითქოს ამ ადგილებში შოთა ამყღავნებს, რომ ის გადახვეწილია უცხოეთში. ჩვენ გვაოცებს ერთი რამ: ნუ თუ მეცნიერს აქვს უფლება ასე მცირე და დაუსაბუთებელი მოსაზრებით ასეთი დიდი საკითხი გადასწყვიტოს!

დავანებოთ თავი სიმცირეს, სინამდვილეში ამ მცირე საბუთის გაგებაც ყალბია და ეს ადგილები სულ სხვას გვეუბნება.

მოყვანილი პირველი სტროფით იწყება ეს თავი, სადაც აღწერილია ავთანდილის წასვლა მეგნად ტარიელისა. ამ სიტყვებს ამბობს პოეტი სრულიად ბუნებრივი ტონით; ეს არის ერთგვარი აფორიზმი, რომელიც მას სჭირდება ავთანდილის მდგომარეობის გამოსახატავად (ეს ისეთი ბუნებრივი

მოვლენაა, რომ ასეთ გარემოებას ჩვეულებრივ საუბარშიაც აქვს ადგილი) და შემდეგ ასევე განაგრძობს:
«ავთანდილ იგი მინდორი ოთხ-ასმით გადაიარა» და სხ.

ამგვარად ეს ადგილი ეხება არა პოეტს, არამედ მის გმირს, ავთანდილს, რომელიც ამ წუთში სამშობლოს, თავის მიწაწყალს, მეგობრებს, მოძძთ, მიჯნურს ტოვებდა და უცხოეთში მიემგზავრებოდა.

მეორე სტროფით იწყება ის თავი, სადაც აღწერილია ავთანდილის გამგზავრება ტარიელისაგან ფრიდონისას, მულღაზარს რომ მიგყარა.

ზოგიერთ გამოცემამლს ეს ადგილი ტექსტში ბრჭყალებში აქვს მოქცეული, რათგან ის ავტორის სიტყვებად მიაჩნია. ეს ძალიან დიდი შეცდომაა, რათგან ხელნაწერებში ასეთ მოვლენას ადგილი არა აქვს და ეს ადგილიც ავტორის სიტყვები არაა. საკმაოა მკითხველი ოდნავ ყურადღებით ჩაუკვირდეს ამ ადგილს, რომ ის ავთანდილისად მიიჩნიოს. მართლაც მომდევნო სტროფი იწყება ასე:

«აკთანდილ მისა გაყრილი სტირს, ხმა მისწვდების ცათამდის».

ამგვარად ის ავთანდილის ტირილია, რომელიც ემდურის საწუთროს, «ზოგჯერ ცუდსა, ზოგჯერ ავსა,» რაც მის აწმყო მდგომარეობას სრულიად შეეფერებოდა, და მერე მიმართავს ზეციურ მნათობებს საშველად.

პოეტისადაც რომ გვეცნო ეს ადგილი, არც მაშინ შეიძლებოდა ასეთი ახირებული დასკვნის გამოტანა, რათგან პირველ სტრიქონში «რას გვაბრუნეს» არ შეიძლება აზრის ზოგადობის ნიშანი არ იყოს, რაც მიმართულია კერძოდ კითისაკენ, ე. ი. შედარებული ავთანდილის მდგომარეობასთან.

ამგვარად რუსთაველის განდგვნის ამბავი სრულ გაუგებრობაზედაა დამყარებული. ასევე ეუაფუძვლოა პასუხი კითხვაზედ, თუ სად იყო ამ დროს შოთა და სად დაიწერა ვეფ. ტყაოსანი?

მკვლევარის პასუხი მარტივია: ვ. ტყ. უნდა დაწერილიყო ბაღდადის ხალიფატში, ერთი იმიტომ რომ ვ. ტყ-ში მოხსენებული პოეტი ეზრა, რომელიც იქ ცხოვრობდა და არც ისე დიდი ხელოვანი იყო, არ შეიძლება ამ დროს საქართველოში სცოდნოდათ. ამიტომ მოთა მას ადგილობრივ გაიცნობდაო. მეორე: «მთელი პოემის მანძილზე მოიხსენება მხოლოდ ორი მდინარე, და ორივე მესოპოტამიიდან: ტიგრუსი (დიჯლატი) და ეფრატი. აქ განსაკუთრებით ის არის საყურადღებო, რომ ამ მდინარეთა დასახელებას უშუალო კავშირი (ხაზი ჩვენია) არა აქვს თითონ სიუჟეტის განვითარებასთან. ისინი გვხვდება უბრალო მეტაფორებში, რაც უჩვენებს ჩვენი პოეტის უნებლიე პოეტურ აპერცეპციას, უნებლიე მოგონებას» (გვ. 318). ეს ადგილებია:

1. «მაგრა სდის ცრემლი თვალთაგან მსგავსად დიჯლატის დენისად».

2. «დიჯლატცა კმარის, მას რომე თვალთაგან ცრემლი სდენია».

3. «წყლად ეფრატსა უსვად ერწყო ედემს რგული ალვა შჭერვი.»

არის კიდევ ერთი ადგილი, სადაც პირდაპირ ბაღდადია მოხსენებული:

4. «ქედსა გარდაეგეს, აქლემნი აუძნეს ლარ-კიდეულნი, მოქარავნენი ზღვისპირსა დაყრით დგეს შეჭირვებულნი... გარდახდა, ჰკადრეს: ჩვენ ვართო მობაღდადენი ვაჭარნი, მაჰმადის სჯულის მჭირავნი, აროდეს გვისვამს მაჭარნი»... და სხვ.

ყველა ამის შემდეგ მკვლევარი, თუმცა სიფრთხილით, მაგრამ მაინც დაასკვნის, რომ «შოთას თავის დეკნილების წლები სჩანს ბაღდადის ქვეყანაში გაუტარებია და აქ დაუწერია მას თავისი გენიალური პოემაო» (გვ. 319).

პირველი საბუთი თავისუფლად შეიძლება რასაკვირველია უგულვებელყოთ, რათგან აღნიშნული ეზრა, რომელსაც შოთა იმოწმებს, საქართველოშიც შეიძლებოდა სცოდნოდათ. განა ცოტა ვისმე ასახელებს შოთა, რომელთა ქვეყანაში შეიძლება არ ყოფილიყოს! (ამ სიტყვის მნიშვნელობა კიდევ სადაც არის რუსთველოლოგიაში).

მეორე საბუთი უფრო საინტერესოა. მაგრამ ჩვენ ერთი რამ არ უნდა დავიწყოთ. ვეფ. ტყ.-ის სურათი სრულდება არა საქართველოში, არამედ ეგვიპტეში: რაბეთს, ინდოეთს და მათ შორის ძდებარე ქვეყნებში. აქვე უნდა ვიგულისხმოთ «ქაჯეთი», ფატმანის სამყოფი და სხ.. ჩვენ არ ვიცით, იქ მოხსენებული ზოგი ქვეყნები დღეს რომლებად შეიძლება ვიგულისხმოთ, ალბათ მრავალიც ფანტაზიის ნაყოფია, მაგრამ ზოგადი მოქმედების ასპარეზი მაინც ვიცით: მთელი ხმელეთი არაბეთითგან ინდოეთამდე. და ჩვენ სრულიად ბუნებრივად მიგვაჩნია, რომ პოეტი ყველაფერს ასახელებს იმ ქვეყნებითგან, სადაც მოქმედება ხდება (შეამდინარეში მიმავალ ავთანდილთან პოეტს რომ მტკვარი ან რიონი არ გაახსენდებოდა, ეს ელემენტარული ჭეშმარიტებაა), და რომ სიუჟეტთან ამ მოხსენებას კავშირი არა აქვსო, ეს მართალი არ არის.

ზემოდ აღნიშნული პირველი სტრიქონი იკითხება იმ ადგილს (კარიჭამეილის გამ სტრ. 813), სადაც აღწერილია ავთანდილის მეორედ გაპარვა. ავთანდილი მიდის ტარიელთან, არაბეთითგან ინდოეთისაკენ. მიდის ცხენით:

«რა გაემართის არ იცის, მას თუ არგეგონის ცხენი სად»

და, ბოლოს, ხმადია, ხმელეთით. და აი, აქ, როდესაც ავთანდილი სტირის ძალიან, პოეტს უნდა მისი ტრემლთა დენა კაზვიადებული შედარებით დავიხატოს, და თუ აქ ის ტიგროსს იხსენებს, ეს იმიტომ რომ ტიგროსი სწორედ იმ მიდამოთა გრთი უდიდესი მდინარეა, და არა იმიტომ, რომ რუსთაველი იქ ყოფილა.

აღნიშნული მეორე სტრიქონიც იმავე თავში იკითხება და სწორედ აქაც იგივე მდინარეა მოხსენებული.

მესამე ადგილს მოიხსენებიან «მოკაღდადენი», როდესაც ავთანდილი ფრიდონისგან მიდის ნესტან-დარეჯანის საძებრად და ხევის პირას ხვდებიან მას ვინმე ვაჭრები, რომლებიც «მოგაღდადებად» უწოდებენ თავს. ეხენი მორითგან მომავალნი იგულისხმებიან და მამასადამე კაღადი იმ პუნქტითგან შორს უნდა ყოფილიყო, მაგრამ მაინც შოთას გმირთა სამოქმედო დიდ სივრცეში მდებარე.

როგორ დავინახეთ, ეს საბუთეკი თავისთავადაც მიუღებელია ხოლო რუსთველის განდგვნის დაუმტკიცებლობა ხოლ მათ სრულიად მოხსენილად გულისხმობს.

შემდეგ მკვლევარი ეხება შოთას დაბრუნებას, მაგრამ რათგან განდგვნა ვერ მივიღეთ, დაბრუნების საკითხზედ მკითხველის ყურადღების შეჩერებაც აღარ ღირს.

მეექვსე ნაწილში მოცემულია შოთას იკონოგრაფია, რომელიც აგრეთვე მეტად საინტერესო საკითხებს შეიცავს, მაგრამ მათ მაინც და მაინც წამოჭენილი საკითხებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვსო და ამიტომ პ. ინგოროყვას წიგნის განხილვას ამით ვამთავრებთ.

დასკვნა: ჩვენ ყველა საკითხები ცალცალკე განვიხილეთ და დავრწმუნდით, რომ არც ერთი მათგანი, მეტ ნაკლები პროპორციით, დამტკიცებულად არ შეიძლება ჩაითვალოს.

შეიძლებ ავტორმა გვითხრას, რომ ჩვენ საკითხები ცალცალკე განვიხილეთ და არა ერთი-ერთთან დაკავშირებით, რაც ასუსტებს აზრის ჭეშმარიტებასაო. ეს მართალია, მაგრამ ამ შემთხვევისათვის იგი მართალი მაშინ იქმნებოდა, რომ ზოგ მათგანს მაინც ერყევი საფუძველი ჰქონოდა, აქ კი თითოეული დეკულება ცალკე იქამდე დაცილებულია სიმართლეს, რომ რაც ახლო არ უნდა განვიხილოთ იგინი ერთიმეორეთან დაკავშირებით, ჭეშმარიტებას მაინც ვერ მივიღებთ.

გარეგნულად წიგნის ერთი მთავარი ნაკლი ის არის, რომ იქ წამოჭრილი პრობლემების გადასაწყვეტად ყველა საბუთები არ არის დაბეჭდილი. ავტორი თითქმის ყოველ საკითხის განხილვის დროს უთითებს მკითხველს ჯერ გამოუქვეყნებელ ხელნაწერებს და ეს მკითხველს უხერხულ მდგომარეობაში აყენებს.

მიუხედავად იმისა, რომ წიგნი ავტორის პრეტენზიებს ვერ ამართლებს, მაინც სამართლიანი იქმნება შევნიშნოთ, რომ ამ ნაშრომმა ძლიერ წასწია წინ რუსთველოლოგია.

თუ ამ წიგნმა ვერ განარათა ბნელი, ვერ განაშუქა ის გზა, რომლითაც საბოლოოდ მივიდოდით რუსთველთან, ის მაინც გვიჩვენა, თუ საითკენ არ შეიძლება წასვლა, და ეს-ეც დიდი საქმეა. ყველაზედ ძვირფასი ამ ნაშრომში კვლევის მეთოდია. ავტორი ცდილობს დაგვერწმუნა საგნის შესასწავლად ყველა მეთოდი მოიმარჯვოს. ჩვენი დროის მეთოდოლოგია ლიტერატურათ-მეცნიერებაში განსაკუთრებულ გზას დაადგა. ლიტერატურული ძეგლის შესწავლის საქმე უმიავრესად პოეტიკაზედ გადაიტანა, და აქაც ბეკრი ახალი შემოიტანა მკვლევარმა. ლიტ. ძეგლთან დაკავშირებული ზოგი საკითხისთვის საჭიროა ენოგრაფიული-ლოგიურ-სინტაქსიური შესწავლა ძეგლისა და მან აქაც მეიტანა იავისი წვლილი. ის ლიტერატურულ ძეგლებ[illegible] წარსულს ეკუთვნის, ისტორიულ[illegible] [illegible]-რებლად არ შეისწავლება. აქაც [illegible] ენერგიულება გამოიჩინა და [illegible] სხვ.) ყველა გამოიყენა.

ამ ნაშრომმა საზოგადოება დაარწმუნა, რომ კვლევაძიება რუსთველის გარშემო შედის იმ ფაზაში, რომლითაც იგი საკითხის კადაუწყვეტლად ვერ გამოვა.

უნდა მოველოდეთ, რომ, დღეს იქმნება თუ ხვალ, რუსთველისა და მისი ვეფხის ტყაოსნის ღირს-მნიშვნელოვანი პრობლემა გადაწყდება და მთელი ერის ცნობის-მოყვარეობა, მიპყრობილი ამ საამაყო ქმნილებისადმი, დაკმაყოფილდება.

ალ. მანველიშვილი

რუსეთი და საქართველო

წერილი მეოთხე

აი ვიდევ ერთი, სოფელ მირზაანის ბლეზების მოხსენება:

«... ცოლებსა გვტაცებენ, ქმრებს ხელებს უკრავდნენ და ჩვენ თვალწინ ცოლებთან მრუშობდნენ. ედა-კაცი წივის და კივის, კაცო, მიშველე; ქმარი კი ლუღლუღებს: რა გიშველო შეკრულ შებოჭილმა. სოფლად ვიღაც კაპიტანი მაჟაროვი ჩაგვიყენებს ჯარით შვიდის კვირიო. მტერი არ დააწოებებს ისე სოფელსა, როგორც მაჟაროვმა აგვიკლო და დაგვანელა. კაცი აღარ დარჩენილა მირზაანში, შიშით მამა-კაცობა აქვთ იქით მიიმალა. ს

დით, კრინტი არ დაგვიძრავს —არა, არ წავალთო. დავდიოთ დით ბეგარაზე სარ-კამეჩებით და ურემებითა განჯას, გუმბრსა, ახალციხეს, ნუხას, იმერეთსა. თუ სარ კამეჩით არ შეიძლებოდა სამსახური, ჯარს ცხენებს ვახმარდით ტვირთის საზიდათ, მაგრამ არც საქონელი და არც ურემი უკან აღარ დაბრუნებულა. ყველაფერი დაგვეღუბა. ასე განინჯეთ ტომრებიც-კ დაგვეკარგა.

გამოგვიცხადეს, ჯარი თვითონა ზიდავს სურსათს, ოღონდ თქვენ სარები უყიდეთო და ბეგრისაგან თავისუფალი იქნებითო. თითო სარზე 15 მანეთს ზუთ-ზუთი მანეთი დავუმატეთ და ჩავაბარეთ საჭირო საქონელი, მაგრამ ბეგარაზე მაინც გაგვრეკეს. ჯაფისა და მოუვლელობისაგან ნაყიდი საქონელი გაილახა და ჩვენ მოგვილალეს გამოსაკვებათ. ვისაც გამვალტყავებული საქონელი ზელში შემოაკვდა, თითო სულზე 15 მ. გადაანდგინეს.» (1)

საქართველოს მთავარ-მართებელი მარკიზი პაულუჩჩი სხვათა მორის რუსთველ არქიეპისკოპოს სტეფანესაც შეეკითხა აზრს იმის შესახებ, თუ რა მიზეზებით იყო გამოწვეული კახეთის აჯანყება 1812 წელს. რუსთაველის ეპისკოპოსმა შემდეგი პასუხი გასცა:

«მეკითხები, რა იყო მიზეზი კახეთის აღრევა-ამბოხებისა. მღვდელთ-მთავრული ფიცითა ვარ შებოჭილი, დაწვრილებით ვერ აგიწერ იმ ტანჯვა-ვაებას, რაც კახელობამ გამოიარა, მაგრამ მაინც რამდენათაც ჩემი გონება მისწვდება, მოგახსენებ.

ეკანასკნელ დროამდე, კახეთში დაბანაკებული ჯარის უფროსი, აგრეთვე მისნი ხელქვეითნი, უბრალო სერჟანტიც კი ბლეზკაცობას ისე ექცეოდნენ, როგორც ყურ-მოჭრილ ყმასა და ისე იმსახურებდნენ, როგორც სურდათ. სამსახურსა და ყმობას არ სჯერდებოდნენ, ხალხს აწვალებდნენ და სტანჯავდნენ, ასე განინჯეთ საქონელსაც არ ინდობდნენ. მეუგრალბლად და უომერთოთ ეკიდებოდნენ ერთსაც და მეორესაც. მერე ათასში ერთხელ ხომ არა, მუდმივ, განუწყვეტლივ. დღე, კვირა, თვე გადიოდა, ხალხისა და პირუტყვის მეუზეებას-კი შეღავათი არ ეძლოდა. ერის სასოწარკვეთილებას დასასრული არ უჩნდა. გაიფურჩქნებოდა თუ არა ვაზი, მიგსეოდა ხოლმე სალდათობა ვენახებს და შემოაფცქვნიდა ხოლმე კვირტსა და ფოთოლს საჭმლის გასაძაღებლად. ხალხი თავს იკლავდა და ბრაზით გულზე სკდებოდა, ვენახების გაგერანებას რომ ხედავდა. კამისიონერები რას არ სრადიოდნენ, ვინ მოსთვლის. ოდ კოდიან ურემ პურს თხუთმეტად იღებდნენ, საწყაოს ფეხით, ან დიდი კმტებით სტანავდნენ და რაც ხორგალი დაიბნეოდა, იმას აღარ ანგარიშობდნენ. ვისაც პური არა ჰქონდა, ბეს უარუნეგდა, მაგრამ კამისიონერი არ იღებდა, ვიდრე კოდ პურში არ დასცინცლავდა ორ მან., ხან ორ მანეთს და ორ აბაზს. პური მაღაზიაში ზამთრობით მოჰქონდათ. ორ სამ კვირას აჩერებდნენ და ვიდრე მეურმე ქრთამს არ მისცემდა, პურს არ იბარებდნენ. საქონელი და ხალხი კი სიცივითა და შიმშილით იტანჯებოდა.

მაზრის გამგენი ყურსაც არ იბერტყავდნენ, თითქოს ამ საძაგლობის ამოფხვრა მათი საქმე არ ყოფილიყოს.—ვსთქვათ, ხალხს მეუკვეთეს ყაზარმის, ან თავლის აშენება. მზა-მზარეულ ამგნებულ სახლს დააქცევინებდნენ ხოლმე, რა არის კარეგი აქეთ უნდა დაგეტანებინათ და არა იქითაო. სიტყვით არ ითქმის და კალმით არ დაიწერება, თუ რა სასოწარკვეთილებას ეძლეოდა ერი ამის მნახველი და ამის გამგონე. მაგალითი არა ყოფილა, რომ საქმე დასრულებულიყოს და ბოლო მოჰყოლოდეს სასამართლოში, ან სათემო პოლიციაში. თუკი რამე ვათავებულა, უსათუოდ ქრთამს უმუშავნია, უქრთამოთ ზედაც არ შეხედავდნენ საქმესა. სამსჯავრო ბრალდების გაჭიანურებით მობეზრებული მომჩივანი ქრთამს აძლევდა მოსამართლეს, ეჰა, შეცდეს, ოღონდ მოსპე ჩემი საჩივარი და თავიდან მომწყდიო. სოფლად ჩაყენებული ჯარის უფროსები ტავიანობით მიდიოდნენ იოლად, უსასყიდლოდ მიჰქონდათ სანოვაგე: ღვინო, პური და ყველაფერი, რაც-კი საჭიროა ადამიანის საცხოვრებლად. ათასში ერთხელ თუ ეაიმეტებდნენ რამეს, მაგრამ გამეტებული ისე მცირე იყო, რომ სათქმელად არ ღირს. ჯარის უფროსთა ასეთი საქციელი დიდათ სჩაგრავდა ერს. — აფიცრები ჯერ სახელმწიფოთ მოათიბინებდნენ თივას, მერმე თავიანთთვის და უსაყიდლოთ აზიდვინებდნენ. სრული სამი თვე უნდებოდა ვლეს-გაცოცა ამ ვაი-ვაკლასს. ამას ხომ არა სჯერდებოდნენ დალოცვილეგი. საბმელში უცვივდებოდნენ და მალით მიჰქონდათ თივა და გზე. საკუთარი საქონელი-კი შიმშილისაგან ძლივს დალასლასებდა და ნიათ გამოლეული წყდებოდა. დიდი მწუხარება და ღონდურობა ტრიალებდა ამის გამო ხალხში. — ოდოებით, ოდ და ათობით გაჰყავდათ ბეგარაზე ურმები, მთავრობას თვეში თითო ურემზე 40 მან. ჰქონდა გადადებული, ვინ იცის რა სიშორეზე მიჰყავდათ ურმები. სიშორისა გამო საქონელი წყდებოდა. ურმებს გზაში ჰყრიდნენ და მეურმეები ცარიელ-ტარიელნი გრუნდებოდნენ შინა და ეასამსჯელოს ხან 6 მან., ხან 8 მან. გადმოუგდებდნენ ხოლმე.

მიზეზი ხალხის საერთო ამბოხებისა ბევრია კიდეც, ბევრია აგრეთვე საძაგლობა, რამაც გაამწარა ერი, მაგრამ მე ვერ მოვახსენებ. თვითონ ხალხს გამოჰკითხეთ; დაწვრილებით თვით ერი მოგახსენებს, რა ცხენი ეკიდა და როგორ იხრაკეოდა უსამართლობის ღელფსა და ნაღვერდალში».

მარკიზ პაულუჩჩიმ მიტროპოლიტ კოდგელსაც იგივე საკითხი დაუსვა, რაც რუსთველ ეპისკოპოსს. ეიტროპოლიტმა შემდეგი პასუხი გასცა საქართველოს მთავარ მართებელს:

«მეკითხეთ, თუ რამ გამოიწვია შფოთი და ამბოხება. რაკი ასეა, იძულებული ვარ ამ მოხუცებულობაში თვალცრემლიანმა გარკვევით აღვიარო მოყვასთა მიერ ჩადენილი კორეტება, რათა იგი აღარ განმეორდეს. ვერ ვახერხებ, ვერა ვბედავ დავასახელო ყველაფერი, რაც მოხელეებმა მოიმოქმედეს. ღმერთო, რას არა სჩადიოდნენ! იტაცებდნენ რაც კი რამ მოხვდებოდათ, სჩაგრავდნენ როგორც მამაკაცე ბს აგრეთვე დედა-კაცებს, იღებდნენ ქრთამსა, რის გამო ყველასათვის გაწყდა მართლიერება. მოხელეთაგან არავისა ჰქონდა მოსვენება, არც ადამიანს და არც პირუტყვს. პურის ფასი მქვსი აკაზი რომ ყოფილიყო, იგინი ოთხ აბაზს ანგარიშობდნენ, მაგრამ რა. ამასაც ღვთისნიერად არ აძლევდნენ რათგან იმისთანა უსამართლო საწყაოთი იწყავდნენ პურსა, რომ კოდი ათ შაურათ არ ჯდებოდა. შარშან ჭირნახული არ მოვიდა. ხალხს კოდ პურში ექვსი აკაზი მიუყარეს, ბაზარში კი ოთხ მანათად ძლივს იშოვეოდა. ვსთქვათ, რის ვაი-ვაკლასით იშოვა სოფელმა პური, რამდენიც მთავრობამ შეაწერა, და ჩააბარა მაღაზიას. ორი სამი კოდი რომ დაჰკლებოდა, მაშინვე ეგზეკუციას თოფმეტი სალდათისაგან ჩაუყენებდნენ. სადილ-ვახშამს გარდა სათითაოდ თხოულობდნენ სალდათები თითო ქათამს, და თუნგ ღვინოს. ამოდენი ხორაგი და სასმელი საჭირო არ იყო, მაგრამ ჯიბრით და ბოროტებით იქცეოდნენ, რომ სისხლი გრწყვინებინათ ხალხისათვის. კაპიტან ისპრავნიკები არხეინათ ბრძანდებოდნენ, ხალხისათვის ზრუნვა-ფიქრით თავს არ იხვთქავდნენ, გულს არ იწყალებდნენ, და თუ ზრუნავდნენ, მხოლოდ მარტო საკუთარ ჯიბის გასქელებაზე. უსამართლო მსჯელნი გაივსნენ და ჩაიქცნენ ქრთამებითა.. ჯერ არ გაგონილა, რომ აქაურ მოსამართლეს სამართალი ექმნას და ვინმეს მართალი დაგვმაყოფილებინოს. თქვენ თვითონ შეგიძლიანთ იხილოთ, რამოდენა ხანი ყრიან თვლავის სამსჯ ვროში საქმენი განურჩევ-განუხილველი, რა არის ბლომათ ქრთამი ავიღოთ და ძღვენ-საჩუქრებით გავიჩუოთოთ. ფიცხა სდებენ მოხელე-მოსამართლენი, რომ ქრთამს არ შეგხონ და სიმართლე წაიმღვარონ წინ საქმის გარჩევის დროს, მაგრამ ფიცხა სტეხენ და სვინდისს ღალატობენ. ცუდათ მოქმედებს ხალხის ნნეობაზე ამგვარი საქციელი და ფიცის ტეხა. გონება დაბნეული ერი ზნეობით იხ წნეა. სწუხს და შფოთავს სული ჩემი ამ სიბერისა და მოხუცებულობის ჟამსა, არ ვიცი როგორ მოგაზსენო ყველა ის ბოროტება, რომელიც საკუთარის თვალით ვიხილე, ან გამიგონია სანდო და მართალ-მოყვარე კაცთაგან! უსამართლობამ სასოება დაუკარგა ხალხს, მიიყვანა სასოწარკვეთილებამდის და იძულებულ ჰყო იარაღისათვის ხელი წამოეღო. ბეგრჯელ ვაგნობე და შეგატყობინე, ვინც მოვალეა იცოდეს, თუ რა გაჭირვება დაადგა ერსა, თქვენ კი ვერ გაიგდინეთ, ვინაიდან ღრო არა მქონდა. ჯერ ერთი რომ დიდათ შეგვავიწროვა შავმა-ჭიამ და მეორეც ისა რომ თქვენ სხვაგან იყავით წასული. ვისაც კი შეგატყობინე ხალხის გაჭირვება, ვსთხოვდი, უბატრონობა და უყურადღებობა ცუდ ნაყოფს მოიტანს მეთქი. მერწმუნეთ, გატყობ ჩემო, დიდი ხანია ცეცხლი წაკიდა, მაგრამ მის ჩაქრობას და განლეგას არავინ ფიქრობდა. ხალხის მიდგომით არ მომდის. ამას რომ მოგახსენებთ, მიკერძეკა და მიდგომა არ შეფერის ჩემ ხარისხსა. სიმართლით ვიტყვი, თქვენი ნდობა რომ არა ჰქონოდა ერსა, აგიზგიზებულ ცეცხლის ჩაქრობა დიაზ რომ უფრო ძნელი იქნებოდა».

საქართველოს მთავარ მართებელი მხოლოდ ეკლესიის წარმომადგენელთა დაკითხვით არ დაკმაყოფილდა და ქართლ-კახეთის მარშალს ღენერალ-მაიორ თამაზ ორბელიანსაც შეკითხა. მაგრამ სანამ ღენერალ ორბელიანის მოხსენებას გავაცნობდე მკითხველს, უნდა აღვნიშნო, რომ ყველა ეს შეკითხვები და გამოხატვილი საგანგებო კომისიების დანიშვნა პაულუჩჩის მიერ სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ მარკიზს ან გული შეხეოდა დაჩაგრული ხალხისათვის ან რაიმე სამართლიანოვის გრძნობით ხელმძღვანელობდა. არა, ეს გრძნობა და შეგნება არც მას და არც სხვა მთავარ-მართებელთა გულს და სინიდისს არადროს მიჰკარებია. საქარიველოს მთავარ მართებელნი იყვნენ წარმოადგენელნი ბარბაროსულ სახელმწიფოსი და სადისტურ ერის და იქცეოდენ ისე, როგორც შეეფერებოდა იმას, რასაც ისინი წარმოადგენდენ. რუსების მოქმედებისა ჩვენში თვით სისტემა იყო ბარბაროსული და ამ სისტემის აღმასრულებელ და განმაზორციელებელ პიროვნებებს მისი გადახვევა არ შეეძლოთ. თვითონვე იყვნენ აღზრდილნი ამ სისტემით და შვილნი იმ ვეულ ხალხისა, რომლის ისტორიულ პოლიტიკას ემსახურეოდენ. მართალია მარკიზი პაულუჩჩი რუსი არ იყო, არამედ იტალიელი იყო მთამოდავლობით, მაგრამ, როგორც პიროვნება, ბრძენური იყო და სამართლიანად აზასიათებს მას დავით ბატონიშვილი, როცა ამბობს, ეს კაცი იყო ფლამი როგორადაც თვალითა, ეგრეთვე სულითაო. აქ, სამწუხაროდ, საკმარისი ადგილი არ არის ამ ავანტურისტის კიოგრაფია მოვიყვანო.

მოხდა აჯანყება, დაიღვარა ათასობით რუსთა სისხლი. მთავარ-მართებელი იძულებული იყო თავის იმპერატორისათვის მოგვხსენებინა, რამ გამოიწვია ეს აურ-ზაური. მხოლოდ ამ მიზნით დაიწყო მან გამოძიება, თორემ ქართველი ხალხის ტკივილები მას სრულიად მადას არ უგარგავდა და ძილს არ უფრთხობდა.

აი რა პასუხი გასცა მარკიზს ქართლ-კახეთის მარშალმა, რომელსაც მაინცა და მაინც მამულიშვილობა ვერ ეთქმის. მისი ღენერალ-მაიორის ხარისხი ამტკიცებს მჭერმეტყველურად, რომ ის სავსებით რუსის კაცი იყო: «კახეთმა და ქიზიყმა რომ იარაღი იხმარა რუსეთის მხედრობის წინააღმდეგ, როგორც დავწერეთ ერის მითქმა-მოთქმიდან წინად და ეხლა, ჩემის ფიქრით და გონებით, ესაა მიზეზი:

1. თქვენც კარგათ მოგეხსენებათ, რომ ორი წელიწადი ზედი-ზედ მოუსავლობა იყო საქართველოში.

2. ჩაცივება და ახირება მთავრობისა, გინდა თუ არა პური უნდა მოგვიზიდოთ ჯარის გამოსაკვებათაო, მაშინ როდესაც ხალხს არ მოეპოვებოდა საკუთარის ოჯახის დასარჩენათ ხორბალი.

3. მთავრობა გაჭირვებულდა, უსათუოდ ექვს აკაზათ უნდა გვაძლიოთ კოდი პურიო. ხალხი იძულებული იყო, რაკი ოჯახში არა ჰქონდა რა, ბაზარში ეყიდნა ზაზინისათვის კოდი 4-5 მანათად. ფულის საშოვნათ მამულსა და ცოლ-შვილს აგირავებდნენ. სწორედ ამ გაჭირვების დროს მთავრობამ გაიხსენა პურის ძველი, აუკრეფავი გადასახადი და შეუტია მგლოდრს, —ძველი და ახალი შეკრიბეთ და ჩაგვაბარეთო.

4. სახურსათო მოხელენი უზომოთ ატყუებდნენ ხალხს წონაში ამ მოუსავლობით გაჭირვებულ დროსა.

5. იგივე მოხელენი განზრახ აჭიანურებდნენ კვირაობით პურის ჩაბარებას, რა არის ქრთამი დავცინცლოთ. ძალ. უნეკურად ქრთამს აძლევდნენ, ოღონდ კი მალე ჩაეგარებინათ პური. გაჭირვებული კაცი, რაკი მობეზრდებოდა მალა ზიასთან ტრიალი, თავს ანებებდა ურემსა და ხარ-კამეჩს და მინ გარეოდა. გაქცეულს რასაკვირველია ქირაც ეკარგებოდა.

6. ვერცხლ-მოყვარე სათემო მთავრობამ მდაბიო ერი მეტის-მეტად შეავიწროვა და შეაწუხა.

7. საითაც კი ჯარი დაიძვროდა, აუარებელი ბეგრის ურემი გაჰყავდათ. თქვენც კარგათ მოგეხსენებათ, რამოდენა საქონელი გაწყდა ბეგარაზე, თითქმის მეოცედი ნაწილიც არ დაგრუნებულა მინ უვნებელი. ძვირათ ნაყიდი საქონლის დაკარგვა სამუდამოთ აღატაკებდა გლეხ-კაცოცას.

8. შინაური მართვა-გამგეობა საქართველოსი ანუ მთავრობის დაწესებულებანი არ შეეფერება აქაურ, ზეპრე და გაუთლელ ერის ზნე-ხასიათსა. შეუფერებელ დაწესებულებას ღენერალ ტორმასოვის დროიდან საგრძნობელათ შეეპარა ბოროტ-მოქმედება, რომელიც უფრო ამწვავებდა საქმეს.

9. ხალხი დრტვინავდა, ამოდენა ხარჯი და ბეგარა ჩვეულებრივ ღალა-კულუხის გარდა არც ერთ წინანდელ მთავრობის დროს არა ყოფილა. წელში გაგწყდით, მეტის ატანა აღარ შეგვიძლიან, გაიძახოდა ხალხი, მთავრობა კი ყურსაც არ იბერტყავდა.

10. ძლიერი სამხედრო ეგზეკუცია, რომელიც სრულებით არ შეეფერება კავკასიის ხალხის ზნე ხასიათსა და ჩვეულება-ადათსა.

შეუძლებელია არა სცოდნოდა ხალხის გაჭირება თქვენს წინამოადგილეს, კავალერიის გენერალს ტორმასოვს, რომელსაც მრავალჯერ მოახსენეს, რომ უზომოთაა შეწუხებული მგვიდრიო.

მაგრამ ტორმასოვი თავად-აზნაურობას პატივს არა სცემდა და ყურადღებას არ აქცევდა. რაღაც მიუკარებელი ადამიანი იყო, ზიზღით ეპყრობოდა ჩვენს რჩეულებს და ხალხის საჭიროებას. ეს იყო ძიზეზი, რომ ჯერ-ჯერობით მეცა და სხვებიც უკან შეკვდებოდით და არ მეგასენოთ ოდესღაც ეს თქვენნა, ვითარცა აქაურ ქვეყნის ბალ. ეფრანსა და ბოლოთვალს. ამასობაში ხრულიად მოეღონა ... ხალხის აჯანყებამ. პირადათ მე ... — ... ძიღია არც ერთი მარშალისაგან, რომ ხალხი ჰღელავსო. განა თუ მარშალებს, სხვებსაც არაფერი არ შეუტყობინეგიათ ჩვენთვის არც წერილით, არც სიტყვიერად. ჩემის ფიქრით, ხალხი თუ აქამდის არ აჯანყდა, მიზეზი მხოლოდ ისაა, რომ ძლევა მოხილი მხედრობა ბათის იმპერატორებითის უდიდებულესობისა ხალხს იფარავდა და იცავდა გარეშე მტრის შემოსვევისაგან»,

რა თქმა უნდა, ოფიციალური პირი, მარშალი და თანაც რუსის ენერალ-მაიორი იძულებული იყო საჭირო ფორმით, მოწიწებით და სიფრთხილით დაეწერა მოხსენება და გულმოდგინე ფრაზით «ძლევა მოხილი მხედრობა გარეშე მტრისაგან იფარავდა ხალხსაო» უნდა დაემთავრებინა. ხოლო რომ ხალხი ყველა მტერს ამჯობინებდა სამოყვროდ მოწვეულ რუსებს, ეს პირდაპირ სჩანს თვით ხალხის ყველა ჩვენებითგან, სადაც ამკარად არის ნათქვამი, არც ერთ მტერს ასე არ ავუკლივართ და არ დავუქცევივართო. გარდა ამისა აჯანყების ისტორიითგან დავინახავთ, რომ ქართველმა ხალხმა, განურჩევლად წოდებისა, თვით სამღვდელოებამაც კი ამკარა კავშირი შეუკრა მეზობელ სახანოებს, ლეკებს, სპარსეთს და ოსმალეთს, ე. ი. სწორედ ყველა იმათ, ვისგანაც რუსეთის საშუალებით სურდათ თავის დაცვა. ტყუილა კი არ ამბობდა რუსებზედ ილია ჭავჭავაძე: «როს საშველად მოწვეულმა წაგვიჭირა თოკი ყელშიო»... დიაზ, «საშველად მოწვეულმა» «ერთ მორწმუნე» ერმა წაგვიჭირა თოკი ყელში და ისე წაგვიჭირა, რომ საცოდავ ჩვენ ხალხს მოხდოლოთ და შახაბაზის შემოსვევები მოანატრა. რუსებმა მხოლოდ ეს ჭირი და ვარამი არ აკმარეს საქართველოს და ნამდვილი შავი ჭირი ანუ ჟამი შემოიტანეს 1811 წელს. საითგან მოიტანა რუსის ჯარმა ეს სენი? რამდენიმე მწერალი ცდილობს ამის გამოძიებას. ზოგი მათგანი ამტკიცებს, რომ, რათგან ახალციხესთან ბრძოლების დროს გაჩნდა ჭირი, მაშასადამე ახალციხითგან უნდა შემოსულიყოს. მაგრამ ეს სწორე არ არის, რათგან ამ შემთხვევაში ჭირი ოსმალეთის ჯარში უნდა ყოფილიყო და ოსმალეთითგან მოსულიყო. ხოლო 1811 წელს ოსმალეთში ჭირი არა ყოფილა, და რომ ყოფილიყო, ხომ ახალციხის ფაშის, მარიფ-ფაშის ჯარსაც უნდა მოხდეოდა. თურქების დოკუმენტებითგან კი სჩანს, რომ ახალციხის ლაშქარს რუსის ტყვეებისაგან შეხვდათ ჭირი და მხოლოდ რამდენიმე კაცი იმსხვერპლა. ცნობილია, რომ ჭირის, ხოლერის და პარტაზტიანი ტიფის სენი თითქმის განუწყვეტლივ მძვინვარებს ვოლგის ნაპირებზედ და, ვინაითგან იმ დროს ვოლგითგან მოჰყავდათ ხალხი ჯარები საქართველოში, მაშასადამე ჭირიც ამ ჯარებს რუსეთითგან უნდა შემოეტანათ. ასვა თუ ისე, რუსის მხედრობამ, აქეთგან თუ იქითგან, ჭირი შემოიტანა საქართველოში და ეს სენი რამდენიმე წელიწადს მუსრს ავლებდა ქართველ ხალხს. მარტო 1811 წლის განმავლობაში ჟამმა იმსხვერპლა 2042 მამა-კაცი, 1646 ქალი და 567 ბავშვი (1). რამდენი ადამიანი, ჟამისაგან განგურნებული, სამუდამოდ დასნეულდა, ამის გამოანგარიშება ძნელია.

სამინელ სურათს წარმოადგენდა მაშინდელი საქართველო. ზეკი ყველგან შეკრული იყო, სოფლითგან სოფლად, ქალაქითგან ქალაქს მისვლა მოსვლა და ვაჭრობა თითქმის შეუძლებელი იყო. დიდძალმა ხალხმა მიატოვა სახლ-კარი, სარჩო საბადეკელი და მთა-ტყეში შეიხიხნა. ოფიციალური ცნობები ამბობს, რომ მხოლოდ 1811 წელს 10,000 სული იყო გახიხნულიო. მაგრამ ეს რიცხვი, სიმართლეს რომ დავუახლოვდეთ, ერთი სამად უნდა გავამრავლოთ. მაშასადამე, რამდენი საქონელი, სარ ო-საბადებელი დაჰკარგა ქართველმა ხალხმა და რამდენი ადამიანი გაწყდა მთაში და ტყეში სიცივისაგან და შიმშილისაგან?

მაგრამ ქართველების ეკონომიურად დანგრევის და განიავების სურათი, მკრთალი მაინც, შეიძლება წარმოიდგინოს ადამიანმა შემდეგი ეგიოთგან: წელიწადში საქართველოთგან რუსის მხედრობას გაჰყავდა ესასყიდლოდ 112,154 ურემი და 99,780 ცხენი(2).

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ხშირად სამი თვეობით უმეგბდენ ურემს და მეურმეს და არა იშვიათი იყო შემთხვევა, რომ ექვსი თვეობით დაეკანდათ იგინი. ხოლო რამდენი ურემი იყო ან ცხენი გაყვანილი უსასყიდლოდ, ამისი რიცხვი არ ვიცით. მაგრამ რას ეძახდენ სასყიდელს? თვეში 6 მანეთს აძლევდენ მეურმეს, რომელსაც თვითონ —ხშირად ორ მეურმეს ერთ ურემზედ —და ყოვარი ხარ-კამეჩით მთელი თვის განმავლობაში უნდა ემუშავნა ხშირად მეურმეს უნდა ებრძოლა კიდეც! მომეტებულ შემთხვევაში ელვსკაეს საქონელი ეზოებოდა და ხშირად თვითონაც კვდებოდა. გადაჭარბებული ირ იქმნება, რომ ეუმბრს განჯას, ერევანს, ახალციხეს, ფოთს წაყვანილი საქონლითგან 15 პროც. ვერ ბრუნდებოდა სახლში და მეურმეებითგან 60 პროცენტი. ადგილი წარმოსადგენია, თუ როგორ უნდა დაეჩაგრა ამ ბარბაროსულ სისტემას საქართველოს მეურნეობა.

ამ საკითხს კიდევ დავუბრუნდები და ახლა მინდა გავაცნო მკითხველს ორიოდე დოკუმენტი რუსების საქციელისა იმერეთში. ზემოდ უკვე მოვიყვანე რამდენიმე წერილი სოფლნ მეფისა, საითგანაც აშკარად სჩანს რუსების ვერაგობა, მაგრამ ქვემოდ მოყვანილი საბუთი ოფიციალურია და ამიტომ მას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს. ეს არის ქუთაისისითგან მიწერილი მოხსენეგა პოლკოვნიკი პუზირევსკისა ეორის ჯარის უფროს ღენერალ ვეფლიამინოვთან. პუზირევსკის მინდოკილი ჰქონდა იმერეთში ცნობილი და გავლენიანი პირნი დაეტუსაღებინა და რუსეთში ეგრა მათთვის თავი. ეს ის დრო იყო, როდესაც იმერეთის ინკორპორაცია უკვე განზრახულებული იყო და ეორია- სამეგრელოზედაც ჩრდილოეთის დათვს თავისი განჯეკლიანი თათი უკვე დადებული ჰქონდა, ვითომდა ამ სამთავროების სამფარველოდ. სხვათა შორის პუზირევსკის უნდა დაეტუსაღეგინა: მიტროპოლიტი ზოსიმე ქუთათელი, მიტროპოლიტი ეკვთიმე, თავ. ივანე აბაშიძე, არქიმანდრიტი ეროგოლი, მეფის ქალი დარეჯანი, თავ. ბეყან წერეთელი, თავ. აბაშიძე (სახელი არა სჩანს), თავ. სეხნია წულუკიძე, მდივან-ბეგი თავ. მიქელაძე და ბეგრი სხვა.

აი პოლკ. პუზირევსკის მოხსენეგა, დაწერილი 16 თებერვალს 1820 წელს. სიტყვა სიტყვით გსთარგმნე რუსულითგან ამ მოხსენების ის ნაწილი, ჩვენ რომ აქ გვაინტერესებს: ...«დატყვევებულნი რომ უფრო წყნარად იყვნენ და ვერსად გაიქცენ, მათ რომ ურთიერთი ვეი იცნონ და აგრეთვე ვერ ბეზოვრებლებმა იცნონ იგინი, მე მათ ჩავაცმევ ტილოს ტომრებს, რომლებსაც მარტო პირთან ექმნეკათ ამოჭრილი სასუნთქი. ტომრეგს ზემოთგან თოკს მოვუჭერ კისერთან და

1) აქტები: ტ 5. გვ. 83.

1) აქტეგი ტ. 5 გვ. 36.
2) აქტეგი ტ. 5 გვ. 356.

წმალზედ. თუ გზაში მეამკიზეთ მათი განთავისუფლება მოინდომეს, ყველა ტუსაღებს დავაზიანებ და წყალში გადავაყრევინებ». (1)

ენდა მოვაზსენო მკითხველს, რომ მიტროპოლიტი ზოსიმე ქუთათელი, მიტროპოლიტი ეკვთიმე და არქიმანდრიტი გრიგოლი ისეთი ძაღალი ბუნეგის და უმწიკვლო ზნეობის პირნი იყვნენ, ისე ემსახურებოდენ იმ ქართველ მამათა დანიმნულებას, რომელთ ქართული ზნეობა და კულტურა საუკუნეთა განმავლოკაში კალთით უტარებიათ და ამ კულტურის შესანახად შორეულ იერუსალიმში, სინას მთაზედ, ათონზედ, ბულგარიაში და სხვაგან მათი ხელითა და ოფლით უმეგნიერესი მონასტრები აუგიათ, რომ მთელი დასავლეთი საქართველოს ხალხი ღრმა პატივს სცემდა და ეთაყვანებოდა მათ; და აი. ეს სათაყვანეელი მოხუცნი ვიღაც მყრალმა ბუნირევსკიმ ტიმრეგში ჩასხა, როგორც დასახრჩობად ვადასაგდები კატის კნუტები და მართლაც უპირებდა მათ დახრჩოგას. შემდეგ მოვეთხრობ მკითხველს იმ გულსაკლავ ამბავს, თუ როგორ დასტანჯეს რუსის მეცხრამეტე საუკუნის «ჩიკისტებმა» ეს საპატიო პირნი. —აი როგორ ეპყრობოდენ ჩვენი ეროვნ მოწმუნე «მხსნელეგი» ქრისტიანულ ეკლესიის წარმომადგენლებს...

აი კიდევ წერილი სოლომონ მეფისა ღენერალ რიკოვთან მიწერილი 18 აპრილს 1807 წელს. მომყავს მხოლოდ ბოლო ამ ვრცელი წერილისა უადგილოგის გამო: «...მაგრამ თქვენ თავიდანვე ფიცი გასტეხეთ (რუსეთი ჰყავს მხედველოკაში) და მოვალეობაც დარღვეული თქვენი მხრივ არის... ჩუმათ და ღალატით რაიმეს მიჩემება სამარცხვინოა როგორც უმაღლეს სასახლისათვის (ანუ კარისათვის) აგრეთვე თქვენ კეთილ მმართველობისათვის» (2).

შემდეგ წერილს იმავე შინაარსისა იგივე ეფეფ იმერეთისა სოლომონ სწერს გრაფ გუდოვიჩს: ... «ჩვენ საქმეთა მეხასენ ხი ართლით გიცხადებთ თქვენ, რომ ყოველივე ურთიერთი მოვალეობა თქვენი და არა ჩვენი მხრივ არიან დარღვეულნი (3)... იმავე გრაფ გუდოვიჩს სწერს სოლომონი კიდევ ერთ წერილს, სადაც ერთხელ კიდევ ზედმეტად იმეორებს, რომ ხელმეორეულია თქვენ დაარღვიეთო. ამ წერილს მეფე სწერს 15 სექტემბერს 1806 წელს (4).

რომ მეთოდები დამნაშავის მახლობლებზედ და ოჯახზედ რეპრესიებით მოქმედებისა მხოლოდ ბოლშევიკების მოგონილი არ არის და მათ რუსები ყოველთვის მიმართავდენ ხოლმე, ამას გვიმტკიცებს საქართველოს მთავარ-მართებლის ბრძანება, გაცემული 18 აპრილს 1812 წელს, ნომ. 371. ვთარგმნი მხოლოდ ბოლოს ამ გრძელი ბრძანებისა: «...ვინაითგან ვიცი, რომ 15 კაცი იმ მახრითგან, რომელიც თქვენ გაგარიათ, მხად არიან ბატონიშვილ ალექსანდრესთან გაიპარონ, აქიტომ ესათუოდ გამოიძიეთ, ვინ სად არის წასული, და ვის კვალსაც და ადგილყოფას ვერ მიაგნოთ, მათი ოჯახები იმ საათშივე დაატუსაღეთ».

როდესაც მარკიზმა პაულუჩიმ მიმართა კახეთის გლეხკაცობას, ნუ ღელავთ, დამშვიდდითო, კახელობამ შემდეგი პასუხი გასცა:

„კეხეთის მთელი საზოგადოება, მცხოვრებნი მთასა თუ ვაკეზე, მოგახსენებთ თქვენ, რომ ჩვენ წერაში დახელოვნებულნი არა ვართ და თქვენ მოწერილს ვერა ვხვდებით.

თქვენ თვითონ მოგვეცით მიზეზი; რაც დაპირებული იყო ყოველად მოწყალე ხელმწიფე იმპერატორის მიერ, თქვენ არ შეასრულეთ; თქვენ მოგვეცით მიზეზი მით, რომ ხალხს ხოცავდით და თოკებზე ახრჩობდით, ერთგულნი და დამნაშავენი გარჩეულ არ იყვნენ.

მას, რაც არ გვებადა, ეგზეკუციებით და ხიშტებით გვაიძულებდით მოგვეცა, ხოცავდით ჩვენს ცოლებს და შვილებს; წაგვართვით პური და შიმშილით გვხოცავდით. და გვეუბნებოდით, რომ ბალახი გვეძოვნა. ბავშმა ბალახი როგორ უნდა მოსძოვოს?“

ამ წერილს საბრალო ხალხი შემდეგი სიტყვებით ათავებს: „ჩვენი თქვენთან შერიგება შეუძლებელია, ჩვენ ისეც მკვდრები ვართ და უნდა დავიხოცნეთ... თქვენ გვატყუებდით და ჩვენ ვითმენდით, უკვე მეტი აღარ შეიძლება (ალბათ ამითი უნდა ეთქვათ, მეტი მოთმინება აღარ შეიძლებაო). ეხლა აღსრულდა და ჩვენ უნდა დავიხოცნეთ» (5).

თვით რუსის ისტორიკოსი დუბროვინიც კი თვალებს ვერ ხუჭავს რუსების ბოროტმოქმედებაზედ და შემდეგი სიტყვებით ახასიათებს მას:

„ბოროტ-მოქმედება რუსის მოხელეთა უმაღლეს ხარისხამდე ავიდა. უვარგისობა ახალი მთავრობისა დღითი-დღე მატულობდა და ხალხი ძალა-უნებურად ძველს დროს სიამოვნებით და თან სინანულით იგონებდა. სასამართლოებში ქართველებს ლანძღავდენ, აგინებდენ და ხშირად მომჩივან-მოპასუხეს კიდეც სცემდენ. საკმარისი იყო ვიზედმე მცირე ეჭვი მიეტანათ, მაშინვე დაატუსაღებდენ, ხელებს ზურგზედ თოკით შეეკრავდენ, კისერზედ საბელს წააბამდენ და ამგვარად ტუსაღს ატარებდენ ერთი ქალაქითგან მეორეში. ამასაც არ სჯერდებოდენ. მოხელენი სოფლითგან ქალებს იტაცებდენ და აუპატიურებდენ (6).

მაგრამ აი კიდევ უკეთესი საბუთი რუსის მოხელეების და საერთოდ რუსის მმართველობის სისტემის ბარბაროსობისა. ეს გახლავთ თვით მთავარ-მართებელის მარკიზ პაულუჩჩის მოხსენება იმპერატორთან. ამ მოხსენებაში მარკიზი იმპერატორს 1812 წ. აჯანყების მიზეზებს აგნობს. ვთარგმნი მხოლოდ ნაწილს და სიტყვა-სიტყვით: ხელმძღვანელობ რა ამ შემთხვევაში მხოლოდ სიმართლით, უნდა მოგახსენოთ, ამბობს მარკიზი, რომ აჯანყების მიზეზები შემდეგი იყოო:

1. აქ გამეფებული უსნეობა რუსეთის მოხელეთა შორის, რომელთაც არა აქვსთ არავითარი სარწმუნოებრივი პრინციპი, დიდს და მცირე დანაშაულობას სჩადიან... და ამ ბოროტების მაგალითს თვით უმაღლესი უფროსები აძლევდენ მათ.

(3 და 4 მუხლებს ვსტოვებ უადგილობის გამო).

5. გადაჭარბებული რიცხვი ბეგარაზედ გაყვანილ ურმებისა.

6. რუსეთის სასამართლოს სინელე, რომელსაც გაუთავებელი ფორმალიზმი ახასიათებს.

7. პროვიანტის მოხელეთა ათასი შარლატნობა (1).

რუსის მოხელეთა და მხედართა მთელი ბოროტება არ არის მოყვანილი მარკიზის მოხსენებაში. და თვითონ მარკიზი ხომ უარეს ბოროტებას სჩადიოდა, როდესაც ასობით ხალხი თოკებით დაახრჩობინა კახეთში, რასაც შემდეგ დავინახავთ.

აი კიდევ ერთი ფრიად საგულისხმო მოხსენება იმავე პაულუჩჩისა იმპერატორ ალექსანდრე პირველისადმი, დაწერილი 22 თებერვალს 1812 წელს. მომყავს მხოლოდ ნაწილი ამ გრძელი მოხსენებისა.

„ყოვლად მოწყალეო ხელმწიფეო! ჭეშმარიტება, რომლითაც ვხელმძღვანელობ, წმინდა მოვალეობას მდებს მოვახსენო თქვენს უდიდებულესობას, რომ დაუსრულებელი მაგალითები აჯანყების სულის-კვეთებისა აქაურ ხალხში, რომელიც იბრძვის (რუსულად: „ბუნტობს“ ე. ი. ჯანყდება) 1802 წ.-გან, როდესაც აქ რუსის მმართველობა გამოცხადდა, აგრეთვე 1804 წ. განსვენებულ ციციანოვის დროს და კიდევ ეხლა, მესამედ, ნათლად ამტკიცებს, რომ აქაურ ხალხს რუსეთის მმართველობა არა სურს“.

***

იმ სადისტურ ტანჯვის შესახებ, რომელიც რუსებმა ჩვენ ხალხს მიაყენეს, იმდენი საბუთები არსებობს, რომ მათ მოყვანას და აღწერას მთელი ტომები დასჭირდებოდა. მაგრამ ის საბუთებიც, რომელიც მე აქ მოვიყვანე, ჩვენი ხალხის მაშინდელ მდგომარეობის დაახლოვებით სურათს მაინც აჩვენებს მკითხველს. უსამართლობა, მექრთამეობა, ხოცვა-ძლეტა, წამება, ცარცვა, ქურდობა, ქალების გაუპატიურება, მათი „გაროზგვა“, მათი უღელში შებმა, სოფლების გადაწვა, ვენახ-ბაღების ძირიანად ამოგდება, ყოველივე ესე მონღოლთა შემოსევაზედ უსაშინელესი იყო. დიახ, მე ვამბობ, მონღოლთა შემოსევაზედ უსაშინელესი იყო მეთქი, რათგან მონღოლთა და შაჰ-აბაზის მიერ ქართველი ხალხის დარბევას სტიქიური ხასიათი ჰქონდა, ხდებოდა ბრძოლების პროცესში ან ბრძოლის შემდეგ ერთბაშად, და არ დავივიწყოთ, მე-13 და მე-17 საუკუნეთა შუა. ხოლო იმ ტანჯვა-წამებას კი, რომელსაც რუსეთი აყენებდა საქართველოს, სისტემატიური და მეთოდიური ხასიათი ჰქონდა და ჩვენი ხალხის ეროვნული და ფიზიკური გარადგურების მიზანს ემსახურებოდა. მას თვით რუსეთის სახელმწიფო, მთავრობა, მოხელეები, მხედრობა, დაწესებულებათა მთელი აპარატი განახორციელდა მეოთოდიურად.

სხვას რომ თავი დავანებოთ, მხოლოდ იმ წმინდა ნივთიერ ზარალს, რომელიც ბეგარებმა მიაყენეს ქართველობას, ადამიანი განცვიფრებაში მოჰყავს და აფიქრებინებს: როგორ გადურჩა ყოველივე ამას ხალხი, როგორ ისე არ გადატაკდა და არ დაიმშა, რომ სულ ერთიანად არ ამოწყდა! მართლაც, როგორც ზემოდაც ვსთქვი, თვით რუსების ოფიციალური ცნობებით, მხოლოდ ერთ წელიწადს რუსებს საქართველოთგან უსასყიდლოდ 112,154 ურემი და 99,780 ცხენი გაუყვანიათ! რუსეთმა კავკასიაში თუ სპარსეთ-ოსმალეთთან მთელ 78 წელიწადს იომა. ყველა ამ ომებისათვის ბეგარაზედ ჩვენი გლეხკაცობა გაჰყავდათ. შორს წაგვიყვანს 78 წლის ანგარიში. ვიანგარიშოთ მხოლოდ საქართველოში რუსების დამკვიდრების პირველი 20 წელიწადი, ესე იგი იმ წლამდის, როდესაც დასავლეთი საქართველოს აჯანყების ჩაქრობით ჩვენი სამშობლო წელში გაწყდა და ხმალი ხელითგან გავარდა მას. ოცი წლის (2) განმავლობაში უსასყიდლოდ გაუყვანიათ: 2,243,080 ურემი, მაშასადამე 9,972,320 ხარ-კამეჩი, რათგან თითო ურემზედ ორი უღელი საქონელი უნდა ყოფილიყო, და 1,995,600 ცხენი(3).

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ბეგარაზედ გაყვანილ ადამიანების და საქონლის ნაწილი შორეულ გზებზედ იხოცებოდა, რომ ბეგარაზედ გაყვანილთ მთელი თვეობით სახლში არ უშვებდენ, რითაც მეურნეობას მუშა ხელი აკლდებოდა, დაახლოვებით მაინც წარმოვიდგენთ იმ ზარალს, რომელიც ჩვენს ქვეყანას რუსებმა მიაყენეს მხოლოდ პირველი ოცი წლის განმავლობაში. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ზემოდ მოყვანილი რიცხვები მხოლოდ ქართლ-კახეთს შეეხება და დასავლეთი საქართველოს ზარალი კიდევ სხვა არის. მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში 1819-1820-ამდის რუსის გაყაჩაღებულმა მხედრობამ იმერეთ-გურია-სამეგრელო-რაჭა-ლეჩხუმში თავდაზნაურობის ასზე მეტი სასახლე და ციხე-სიმაგრე ძირიანად დაანგრია, შიგ მყოფი აუარებელი მოძრავი ქონება გაიტაცა, ასობით სოფლები გადასწვა, ვენახ-ბაღები ძირიან-ფესვიანად ამოგლიჯა. სწორედ ამ დროს საძირკვლიანად დაანგრიეს და დასწვეს გურიაში ცნობილი მეცნიერის ქაიხოსრო გურიელის სასახლე თავის ციხე-სიმაგრით და ხუროთ-მოძღვრების უშვენიერესი ნიმუში —შემოქმედი. მაგრამ ამას შემდეგ უფრო ვრცლად შევეხები, როდესაც დასავლეთ საქართველოს ამბოხებას აღვსწერ.

1) აქტები ტ. 5. გვ. 81.

2) მე ვემყარები ერთი წლის რიცხვს, რომელიც ოფიციალური საბუთითგან სჩანს. სხვა წლები ნაჩვენები არ არის. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ შემდეგ წლებში უფრო მეტი ბეგარა მოსთხოვეს ქართველ გლეხკაცობას, რათგან კავკასიაში ომები უფრო გახშირდენ და რუსის ჯარის რიცხვმაც იმატა შესამჩნევად.

3) მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ერთი და იგივე ურემი თუ ცხენი რამდენჯერმეა გაყვანილი ბეგარაზედ. გარდა ამისა მკვდარი საქონლის ნაცვლად ახალს ყიდულობდენ ხოლმე. მაშინ საქართველოში საქონელი სხვა და სხვა მხარითგან შემოდიოდა: კამეჩები დაღესტნითგან და ოსმალეთითგან მოჰყავდათ, ხარებს განჯის, ნუხის და საერთოდ კავკასიის აზერბეიჯანში ყიდულობდენ, ცხენებს კი ყარაბაღში, ყაბარდოში, და აგრეთვე მრავალი ცხენი ქურთისტანითგან მოდიოდა ახალქალაქ-აჰარის გზებით. გარდა ამისა იმ დროს იშვიათი არ იყო ჩვენში ისეთი მემამულე, რომელსაც ასი-ორასი ცხენის ჯოგი ჰყავდა.

მაგრამ ყოველივე ეს ნივთიერი ზარალი მოსატანიც არ არის იმ სულიერ ზარალთან, რომელიც რუსეთმა საქართველოს მიაყენა. ჩვენი აღმოსავლეთის მტრები საქართველოს რაღაცნაირ-ლურ ნგრევით კმაყოფილდებოდენ. ამ ნგრევასაც ახლავარი ჰქონდა. მათი უმთავრესი მიზანი იყო ერთ-ერთ ტომის ეროვნულ ჩვენ დამარცხება და მერე, საბოლოოდ დაამორჩილებლად, ერთი ორი მაგარი დარბევა. ხოლო მიახწევდენ რა მიზანს, ჩვენი ცხოვრების შინაგან ვითარებას არ ეხებოდენ ხოლმე: არც ეკლესიის, არც სკოლის და არც მართვა-გამგეობის საქმეში არ ერეოდენ და ჩვენს მეფესაც, კათოლიკოზსაც და დიდებულებსაც საპირო პატივით ეპყრობოდენ, შეიბუშავებდენ ხოლმე ჩვენსა და მათ შორის ერთნაირ modus vivendi -ს და ქართველ ხალხს აღარ ერჩოდენ. საქართველო მხოლოდ მოვალე იყო სამხედრო დახმარება აღმოეჩინა და განსაზღვრული ხარკი ეძლია მტრისათვის. ამ ხარკის მოკრებაშიც თვითონ მტრები არ ერეოდენ, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მას თვითონ ჩვენი მთავრობა ანაწილებდა და ჰკრებდა.

ამნაირად, საქართველოში ყოველთვის ყველამ იცოდა მტრის წინაშე მის მოვალეობას რა შეადგენდა და წლიურად რა ხარკი უნდა გაეღო. ერთი სიტყვით, ქართველი ხალხის ურთიერთობა მტერთან და მისდამი მოვალეობა შეთანხმებით და ადმინისტრატიული კანონებით განისაზღვრებოდენ ხოლმე და ამნაირად ერთნაირ უფლებრივ ნიადაგზედ მყარდებოდენ. ეს იყო ძნელი, საშინელი, მაგრამ ასატანი. ასატანი მით უმეტესად, რომ, თუ ნივთიერად ხალხი ზარალდებოდა, მისი ოჯახი, საყდარი, ენა, ზნეობა მაინც ხელ-შეუხებელი და შეუბღალავი რჩებოდა. აღმოსავლეთის მტერი ჩვენს ფიზიკურ მოსპობას არა სცდილობდა (1), რათგან ეს მის ინტერესებს არ ეთანხმებოდა. მისთვის ჩვენი ხალხი შემოსავლის წყარო იყო და ამ წყაროს დაშრეტას აბა რად ინდომებდა.

სულ სხვა იყო რუსეთი. მისი ისტორიული პოლიტიკა პატარა ერების გადაგვარება ან ფიზიკურად სავსებითი მოსპობა იყო ყოველთვის. ის საქართველოში შეეცადა ამ თავისი ეროვნულ-ისტორიული პოლიტიკის განხორციელებას. მოინდომა ჩვენი ერის ან ფიზიკური მოსპობა, ან ეროვნული გადაგვარება და ამ მიზნის განსახორციელებლად არაფრის წინაშე არ შეჩერდა. ხოლო მან კარგად იცოდა, რომ ერის დასაცემად, დასამხობად, მოსასპობად საუკეთესო საშუალება მისი ეროვნული საფუძვლების შერყევა და დანგრევა იყო. მართლაც: ქართველი ხალხის ცხოვრების და ცივილიზაციის უმთავრესი საფუძვლები იყვნენ სარწმუნოება, ოჯახი, ენა. და, აი, სწორედ, ეროვნულ შენობის ეს უმთავრესი მასალა თუ სავსებით არა, დიდად მაინც დაუნგრიეს და დაუზიანეს ქართველ ერს ჩრდილოეთის მხეცებმა. შეეჭრენ ოჯახში ქართველებს და ლოთმა ოფიცრებმა, მოხელეებმა, ჯარის კაცებმა ქმრების თვალ წინ მათ ცოლებს ნამუსი აჰხადეს, მამების და ძმების თვალ წინ მათი ქალები და დები გააუპატიურეს. ამას დაუმატეთ ის ზნეობრივი გათახსირება და გაჩყვნილება, რომლის ცოცხალი მაგალითი იყო რუსების მთელი მოსახლეობა საქართველოში, მოხელეები, მხედრობა, სამღვდელოება, მათი სნეული მწერლობა, რომელიც მეთოდიურად სწამლავდა ქართულ გონებას და ზნეობას, და ადვილად მიხვდებით, თუ რატომ მოხდა ის, რომ დღეს ქართველი ქალი და ქართული ოჯახი თითქმის მხოლოდ ისტორიულ შემეცნებად გადაიქცენ. — სარწმუნოება შეგვილახეს მით, რომ მოსპეს ჩვენი ეკლესიის ქართული ორგანიზაცია და სინოდს დაუმორჩილეს. ქართველი გლეხკაცობა იმ მდგომარეობამდის და სასოწარკვეთილებამდის მიიყვანეს მეტის მეტი გადასახადებით, რომ ხატები და ჯვრები თვისი ხელით გააცარცვინეს. რაც შეეხება ენას, ის ხომ ჩვენთვის უცხო სკოლებისა და მწერლობის საშუალებით, თუ ხალხს არა, მოაზროვნე საზოგადოებას მაინც დიდად გადაავიწყეს (2). მოაზროვნე საზოგადოება, ყოველთვის და ყველგან, თავი და ტვინია ერისა და აი, მოსკოვის შხამი უპირველესად სწორედ ამ ტვინს შეუშხაპუნეს, რამაც, ცოტად თუ ბევრად, მთელი ქართული ორგანიზმი მოსწამლა. აი, რატომ არის დღესაც კი ჩვენი ეგრეთ წოდებული „ინტელლიგენცია“, ყოველივე შემთხვევაში მისი უმრავლესობა რუსული სულისკვეთებით და ფსიქოლოგიით მოცული და რუსულ აზროვნებისაგან ვერც ერთ დარგში, და მეტადრე პოლიტიკაში, ვერ განთავისუფლებულა.

აი ის პოლიტიკური, სულიერი და ნივთიერი მიზეზები, რამაც გამოიწვია ბრძოლა ქართველი ერისა რუსეთის წინააღმდეგ. ქართველთა ამ ბრძოლებს უწოდებენ „აჯანყებას“, „ამბოხებას“, რუსები „ბუნტს“, მაგრამ არც ერთი ამ ტერმინთაგანი სინამდვილეს არ შეეფერება. მათ უნდა ეწოდებოდეს „პარტიზანული ომი“.

ბრძოლა დაიწყო 1802 წელს, ე. ი. რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის გამოცხადებისათანავე. მრავალ საუკუნეთა განმავლობაში და ისტორიის სასტიკის ხელით, ბრძოლის ქარცეცხლში გამოჭედილი ქართული ეროვნული „მე“ ვერ შეურიგდა უცხო ბატონობას, რომელიც მას მოსპობით და გადაგვარებით ემუქრებოდა. საქართველოს ბრძოლა მისი ეროვნული ორგანიზმის ბრძოლაა მოსკოვის ძალადობისა და საწამლავის წინააღმდეგ,—ბრძოლა თავისუფლებისათვის და აღორძინებისათვის. ქართველი ხალხი იბრძვის ეროვნულ არსებობისათვის და გამარჯვება უეჭველია. წარსული აწმყოს და მომავლის ლამპარია. სახელოვანნი წინაპარნი არა კვდებიან და მათი ღვაწლი წარუშლელ კვალსა სტოვებს ცხოვრებაზედ. დგება დრო, როდესაც რამდენადაც დიდი და მძლავრი იყო ეს ღვაწლი, იმდენად მეტის ენერგიით და სიძლიერით იღვიძებს შთამომავალთა სულში სურვილი მისი განგრძობისა. დღევანდელ ქართველ ახალგაზრდობის რჩეულთა შორის უდიდესი ენერგიით იფეთქა ამა-პაპათა სულის სიძლიერემ. ეს არის გარანტია იმისა, რომ მომავალი საქართველოსია. და მომავალი გამარჯვების უდიდესი გარანტია კიდევ ის არის, რომ ჩვენ წინაპართა თვით დიდი რუსეთის წინაშეც არ დაიჩოქეს და მის ღალატს იარაღით და ბრძოლით გასცეს პასუხი, რის ისტორიას და ნაღვლიან, მაგრამ საბელოვან მოთხრობას მკითხველი შემდეგ გაეცნობა.

ლ. ჯ.

1) გამონაკლისი შაჰ-აბაზის პოლიტიკაა. სპარსეთის ეს უდიდესი მეფე ბევრს ეცადა ქართლ-კახეთის მეფეებისათვის. რუსეთისადმი მისწრაფება დაეშალა. ვერ მიახწია რა მიზანს, მან მოინდომა კახეთის გადასახლება და იქ სპარსელების დასახლება. მან კიდევაც გადაასახლა ასი ათასზედ მეტი კახელი, რომელთა შთამომავლობა ეხლა სპარსეთში, ისპაჰანითგან 75 კილომეტრის მანძილზედ, ფერეიდანის პროვინციაში სახლობს. მაგრამ განზრახვა შაჰ-აბაზ დიდმა მაინც ვერ შეასრულა, რათგან მის განსახორციელებლად საკმარისად აღჭურვილი ადმინისტრატიული სისტემა არა ჰქონდა.

2) აქ მხედველობაში მხოლოდ მონარქისტულ რუსეთს ვიღებ. რაც შეეხება ბოლშევიკურ გამხრწნელ მოვლენას, ეს კიდევ სხვაა და საგანგებო განხილვას თხოულობს.

---

1) აქტები ტ. 6. გვ. 797, საგუთი 41.

2) აქტები ტ. 3. გვ. 138 საგუთი 255. საბუთები ქრონოლოგიური წესით არ მომყავს განზრახ, რათგან ვამჯობინე მათი მოყვანა საგითხთა შერჩევის მიხედვით, რაიცა არაფერსა სცვლის.

3) აქტები ტ. 3. საბუთი 209.

4) აქტები ტ. 3. საბუთი 382.

5) აქტები: ტ. 5. გვ. 82.

6) ვინაითგან დუბროვინის თხუზულება ხელთ არა მაქვს, ეს სიტყვები მომყავს ფრონელის თხუზულებითგან: მთიულეთი 1804 წ., გვ. 27-28.